თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 12 დეკემბრის სხდომის

ო ქ მ ი N 7

2025 წლის 12 დეკემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის -- „მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით (FR-22-1932)“ - ფარგლებში მომზადებული მონოგრაფიისთვის - „გვარ-სახელის გენეზისი მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი“ - გრიფის მინიჭება;**
2. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ***შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის -- „მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით (FR-22-1932)“ - ფარგლებში მომზადებული მონოგრაფიისთვის - „გვარ-სახელის გენეზისი მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი“ - გრიფის მინიჭება.***

ლავრენტი ჯანიაშვილი: მიმდინარე წელს სრულდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი, რომელიც განხორციელდა ინსტიტუტის ბაზაზე. პროექტის ფარგლებში, ავტორთა კოლექტივის მიერ, მომზადდა მონოგრაფიული ნაშრომი, რომელსაც ინსტიტუტის გრიფი უნდა მიენიჭოს. აღნიშნული ნაშრომის რეცენზენტები არიან ისტორიის დოქტორი, ეთნოლოგი ნათია ჯალაბაძე და ანთროპოლოგიის დოქტორი მარინე ჭკადუა. მათ მიერ წარმოდგენილი დადებითი

რეცენზიები ოქმს ერთვის (დანართი 2). ორივე რეცენზენტი რეკომენდაციას უწევს ნაშრომს გამოსაცემად.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლიანა ბითაძემ, გიორგი ჭეიშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ქეთევან ხუციშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 14 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ინსტიტუტის გრიფი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - -„მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით (FR-22-1932)“ - ფარგლებში მომზადებულ მონოგრაფიას - „გვარ-სახელის გენეზისი მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი.“

2. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: წელს ინსტიტუტის დაფინანსებით გამოვა ვახტანგ გოილაძის წიგნი *„საქართველოს საზღვრები. ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი. რანისა და მოვაკანის საპიტიახშო 369-628 წლებში“,* რომლის რეცენზენტები ვართ მე და ბატონი ვალერიან ვაშაკიძე. რეცენზიები დადებითია, წიგნი იქნება A5 ფორმატის 170 გვერდი. თანამშრომელთა ავტორობით ასეთ გამოცემებს, დადებითი რეცენზიების შემთხვევაში, ინსტიტუტის მომავალშიც დააფინანსებს.

კენჭისყრის შედეგად წიგნს ერთხმად მიენიჭა ინსტიტუტის გრიფი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ინსტიტუტის საარქივო ფონდს გადმოეცა ყოფილი თანამშრომლის - ლერი ლევიძის არქივი, რომელშიც არის მის მიერ შესრულებული წლიური ნაშრომები. შეიქმნა აღნიშნული ნაშრომების ელექტრონული ვერსია, დაახლოებით 400 გვერდი და რედაქტირების შემდეგ, მომავალ წელს დაგეგმილია მათი გამოცემა ინსტიტუტის გრიფით.

გიორგი ჭეიშვილი: მომავალ წელს ბევრი საიუბილეო თარიღია: ინსტიტუტის დაარსებიდან 85 წლისთავი; აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი; „დედაენის“ შექმნიდან 140 წელი; ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ნინო მინდაძემ, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ალექსანდრე დაუშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ ინსტიტუტის საიუბილეო თარიღს მიეძღვნას სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცეს ბროშურა, რომელშიც აღწერილი იქნება მისი ისტორია და სტრუქტურული ერთეულები დაარსებიდან დღემდე; გამოიცეს მარკა ინსტიტუტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით; აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილის საიუბილეო თარიღს მიეძღვნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელის ჩატარებასაც ორგანიზებას ანთროპოლოგიური კვლევის ლაბპრატორია გაუწევს; რადგან ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს, ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თემატიკაც მხოლოდ მეცნიერის სახელთან იქნება დაკავშირებული; „დედაენის“ საიუბილეო თარიღს მიეძღვნას ერთდღიანი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ორგანიზებას ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება გაუწევს.

სხდომამ დაადგინა:

1. **მიენიჭოს ინსტიტუტის გრიფი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - „მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით (FR-22-1932)“ - ფარგლებში მომზადებულ მონოგრაფიას - „გვარ-სახელის გენეზისი მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი.“**
2. **მიენიჭოს ინსტიტუტის გრიფი ვახტანგ გოილაძის ნაშრომს - *„საქართველოს საზღვრები. ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი. რანისა და მოვაკანის საპიტიახშო 369-628 წლებში.“***

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

12. 12. 2025

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 12 დეკემბრის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

რეცენზია

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, დავით ჭითანავას მონოგრაფიაზე – **გვარ-სახელის გენეზისი მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი.**

რეცენზენტი: ნათია ჯალაბაძე, ისტორიის დოქტორი, თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დავით ჭითანავას მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – **გვარ-სახელის გენეზისი, ანთროპოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი** ინოვაციური ნაშრომია. ის ერთგვარად ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ეფუძნება ისტორიის, ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების მონაცემებსა და მეთოდოლოგიებს.

ავტორი იკვლევს გვარის//გვარ-სახელის და პატრონიმიის როლს სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. მონოგრაფიაში საფუძვლიანად არის განხილული სათანადო კვლევებში შემუშავებული კონცეფციები; ემპირიული მონაცემების ინტერპრეტაციის საფუძველზე და საველე ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, ავტორი წარმოაჩენს გვარის ტრანსფორმაციის გარდაუვალ პროცესს და ეს პროცესი გადმოაქვს ქართულ სინამდვილეში.

ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია. შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. მონოგრაფიაში მკაფიოდაა ფორმულირებული კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია. დასკვნა შეიცავს ავტორის ზოგად შეფასებებსა და შედეგებს.

ავტორმა გაითვალისწინა რეცენზენტის შენიშვნები, რის შედეგადაც მონოგრაფიის სტილი და ტერმინოლოგია შეესაბამება დარგობრივ სტანდარტებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დავით ჭითანავას მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია აკმაყოფილებს სამეცნიერო პუბლიკაციის ძირითად მოთხოვნებს და რეკომენდაციას ვუწევ მის დაბეჭდვას.

რეცენზენტი: ნათია ჯალაბაძე 11. 12. 2025

ნაშრომზე **„გვარსახელის გენეზისი მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი.“**

წიგნის სარეცენზიო ნაწილი შედგება სამი თავისაგან: კვლევის მეთოდოლოგია, პოპულაციურ-გენეტიკური სტრუქტურა დემოგრაფიულ და ბიოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით; გვარსახელების მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი.

შესავალში განხილულია გვარსახელების კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა, რადგან გვარსახელები არიან ინდიკატორი იმ სპეციფიკური ანთროპოლოგიური ნიშნებისა, რომლის მატარებელნი ეთნოსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, ქმნიან მის ისტორიას, უზრუნველყოფენ გენეტიკურ პოლიმორფიზმს, გადაეცემიან თაობებს და გენეტიკურ მარკერად ყალიბდებიან. გვარსახელების კვლევის ასეთი მიდგომა, არის სიახლე.

პირველ თავში განხილულია ყველა ფაქტორი, რომლიც გვარ-სახელის შემცირების მიზეზია, ხოლო თუ ფაქტორი ცნობილია შეიძლება თუ არა კიდევ დრეიფი განვიხილოთ როგორც გვარების შემცირების მიზეზი და უკიდურეს შემთხვევაში გვართა გაქრობის. ავტორის აზრით, გვარსახელის შემცირების შესაძლოა მხოლოდ დრეიფი არ იყოს. გამეტების წარმოქმნის დროს წარმოქმნილი შემთხვევითი შეცდომები, მუტაციები, შესაძლო მშობლების ასაკი სქესთან მიმართებაში, გამეტების არასიცოცხლისუნარიანობა, ამ მიზეზთა ერთობლიობა მამრობითი სქესის მიმართ მართლაც ჩავთვალოთ დრეიფად, მაგრამ ასევე შესაძლებელია რომ პოპულაციის 50 % არ ქორწინდება, არ ყავს შვილები, არ გაუჩდა ვაჟი, ან გარდაიცვალა რეპროდუქციულ ასაკამდე ან სხვა მიზეზით (უბედური შემთხვევა, ინფექციური დაავადებები, ეპიდემიები და სხვა).

ეს ნაწილი განიხილება, როგორც გვარ-სახელების კვლევის მეთოდოლოგია, რაც ასევე სიახლეს წარმოადგენს.

მეორე თავი ეძღვნება პოპულაციურ-გენეტიკურ სტრუქტურას დემოგრაფიულ და ბიოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც არის ოფიციალური (საქსტატის) და ველზე მოპოვებული მონაცემების შერწყმა, რის შედეგად ავტორი ადგენს რეპროდუქციური ასაკს და მის დისპერსიას სამეგრელოს მოსახლეობაში; ცალკეული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ ინდივიდებს ორივე სქესის მიხედვით, ქორწინებით მიგრაციას, ენდოგამიას (რამდენია ქორწინებები) მუნიციპალიტეტის შიგნით და გენთა ნაკადს სამეგრელოს, საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ტერიტორიებიდან, რაც ასევე სიახლეა.

მესამე თავში განიხილება გვარსახელების მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სომატოლოგიური გაზომვითი და აღწერილობითი ნიშნების, დერმატოგლიფიკის რაოდენობრივი და აღწერილობითი ნიშნების მიხევით. ხელების ანაბეჭდები განიხილება, როგორც ერთ-ერთი უძველესი ნიშანი, რომელიც პოლიგენურად მკვიდრდება, ავლენს უძველეს კავშირებს და არ ექვემდებარება დრეიფს. ორივე სისტემით მიღებული შედეგებით პოპულაციები უფრო ახლო მსგავსებას ავლენენ

რაოდენობრივი ნიშანთა სისტემით აღწერილობითთან შედარებით. გვარსახელთა სპექტრი პოპულაციებში განსხვავებულია, არის გვარების ძირითადი ბირთვი, რამდენიმე საერთო გვარის გამოკლებით, მაგრამ სამეგრელოს მოსახლეობა ხასიათდება პოპულაციის შიგნით მეტი პოლიმორფულობით და პოპულაციებს შორის ახლო მსგავსებით, რაც პოპულაციური გენეტიკით შეიძლება აიხსნას.

დასკვნის სახით ვიტყოდი რომ წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესოა როგორც შინაარსობრივად ასევე მეცნიერული მიდგომებით და მეთოდოლოგიით და სიახლეს წარმოადგენს საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევა.

სამომავლოდ ვისურვებდი სხვა რეგიონებიც ჩართონ აღნიშნულ კვლევაში.

რეკომენდაციას ვუწევ გამოსაქვეყნებლად.

პატივისცემით,

მარინე ჭკადუა

02.12.2025